მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №10

ქ. მარტვილი 18 აგვისტო, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე დამთავრდა 14:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ირინა გადელია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხურომე, გიორგი კოკაია, ბექარ კუკანია, პაატა პირტახია,გოჩა ჯიქია, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკაია, ნათია ქაჯაია,მამუკა დანელია, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ, გრიგოლ კიკალიშვილი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 24, წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2023 წლის 18 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 აგვისტოს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 18 აგვისტოს განკარგულება № 31 სხდომის ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი - ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
   /მომხსენებელი-გრიგოლ კიკალიშვილი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის

ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;

/მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/

4. სხვადასხვა.

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის გრიგოლ კიკალიშვილის მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და შესაბამისი დადგენილების პროექტი, მან ღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა საბაგირო კიდულით მომსახურეობის ტარიფების ცვლილებას, კერძოდ: საბაგირო კიდულით მომსახურების ტარიფი განისაზღვროს: საქართველოს მოქალაქეებისათვის 1 (ერთი) ლარის ოდენობით, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის 3(სამი) ლარით., 0 დან 7 წლამდე ბავშვებისადა სასულიერო პირებისათვის უფასო.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: გოჩა ჯიქიამ აღნიშნა, რომ ძველი ტარიფები რა თქმა უნდა შესაცვლელი იყო და ის მხარს უჭერს შესაბამის ცვლილებას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 24, წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №13 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა.

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის

ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და გააკეთა მოხსენება შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებასთან დაკავშირებით შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23, წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 1.

დაადგინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულება შეფასდეს დადებითად.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 აგვისტოს განკარგულება №32 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ლევან სურმავამ სხდომის დასასრულს, საკრებულოს წევრებს გააცნო, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ანგარიში, რომელიც საკრებულომ მიიღო ცნობად.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა